გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 172

2022 წლის 9 სექტემბერი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" (ს/კ 218081590) 2022 წლის 01 იანვრიდან 30 აგვისტოს ჩათვლით განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" (ს/კ 218081590) 2022 წლის 01 იანვრიდან 30 აგვისტოს ჩათვლით განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" (ს/კ 218081590) 2022 წლის 01 იანვრიდან 30 აგვისტოს ჩათვლით განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

საქართველო
ა(ა)იპ „გორის
მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრი“

ს/კ 218081590

GEORGIA
N.I.P. ''THE CENTRE CARE OF
PUBLIC HEALTH OF GORI
MUNICIPALITY''

1400 გორი სტალინის ქ. №2
ტელ 0(370) 27-46-84, 27-46-85.
ელ. ფოსტა Gori.jandacva@gmail.com

1400 GORI, STALIN AVE 2
TEL: 0370) 27-46-84, 27-46-85.

№ 184

22 აგვისტო, 2022 წელი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ დავით რაზმაძეს

თქვენი წერილის (#21-21222278, 15/08/2022) პასუხად, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ წარმოგიდენთ ფინანსურ ანგარიშს, 2022 წლის 1 იანვრიდან ივლისის თვის ჩათვლით.

(დანართი 2 ფურცლად)

პატივისცემით,

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორი: მ. გიუნაშვილი

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს

ფინანსური ანგარიში (2022 წლის 1 იანვრიდან ივლისის თვის ჩათვლით)

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“, ჯანდაცვითი პროგრამების შესრულების მიზნით, 2022 წლის ბიუჯეტით გამოეყო 199 500 ლარი, საიდანაც, 135000 ლარი წარმოადგენს მიზნობრივი ტრანსფერით, ხოლო, 64 500 ლარი - მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილ დაფინანსებას.

2022 წლის მიზნობრივი ტრანსფერით გამოყოფილი თანხიდან საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯმა სულ შეადგინა 77 195 ლარი, რაც კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

- „შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება“ 11 საშტატო ერთეულზე, 51 618 ლარი;

- „საქონელი და მომსახურება“ - 25 419 ლარი, საიდანაც, ხელშეკრულებით მომუშავეთა შრომის ანაზრაურებამ 8 შტატგარეშე მომუშავეზე შეადგინა 20 894 ლარი, ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის - 2 513 ლარი, ასევე, საოფისე და კომუნალური ხარჯებისათვის - 2012 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 158 ლარი.

მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხიდან, C ჰეპატიტის, აივ ინფექცია შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის განხორციელებისთვის, ხელფასის სახით გაიცა 2889 ლარი, ხოლო საოფისე (კომუნალური) და სხვა დანარჩენი ხარჯებისათვის - 4 963 ლარი.

მოგახსენებთ, რომ გარდა სუბსიდიით მიღებული დაფინანსებისა, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულებების (COVID 19 -ის მართვის, ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის, დიარეულ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის ღონისძიებების ჩატარება, ასევე ღონისძიებები თამბაქოს პროდუქტებით ვაჭრობის და მოწევის აკრძალვა-შეზღუდვის მონიტორინგის) საფუძველზე, 2022 წლის დასაწყისიდან, მიღებული აქვს 114 103 ლარი (მ.შ. გასული წლის სახელფასო, სამედიცინო და სხვა კრედიტორული დავალიანებების გასაცემად).

საკუთარი შემოსულობებით, სხვადასხვა პროგრამების გათვალისწინებით, ჯანდაცვის ცენტრის შტატით მომუშავე თანამშრომლებზე საანგარიშგებო პერიოდში გაცემულია, 32790 ლარი, ხოლო შტატგარეშე მომუშავეებზე - 45729 ლარი. სამედიცინო ხარჯმა შეადგინა 6476 ლარი, ოფისის ხარჯმა (საკანცელარიო, საგამომცემლო-სასტამბო, სანიტარული, კავშირგაბმულობის და სხვა) - 6578 ლარი, სამივლინებო ხარჯმა - 345 ლარი, უნიფორმის შეძენის ხარჯმა - 1500 ლარი, ტრანსპორტის შენახვის

ხარჯმა - 713 ლარი; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯმა - 1433 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის ცენტრი, ასევე ახორციელებს იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ სეზონური გრიპის და COVID 19 -ის საწინააღმდეგო აცრებს, სადაც ჩართულები არიან პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტები (სოფლის ექიმები და ექთნები).

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი

ჯანდაცვის ცენტრი"-ს დირექტორი მ. გიუნაშვილი

ა.(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" * LEPL "THE CENTRE CARE OF PUBLIC HEALTH OF GORI MUNICIPALITY" * GEORGIA

218081590